კვირა, 11 ივნისი 1917 წ.

რედაქციის ადრესი:
თფილისი, ოლლახ ქუჩა, № 6.

ფასი 20 ჩაპ.



ᲓᲠᲝᲐ!



ვილგელმი (გინდენბურგს) როგორ ატყობ, ახლა ჭკვიანდროა იერიში დავიწყოთ!

გინდენბურგი. ჯერ კარგათ არ დავმომბილებულვართ. პატარა მოვიცადოთ.

ჰატარა ფელეტონი

მოკლე ფეხები.

— მამილო, მამილო! შეხედე აი აგერ ტყუილი მოდის! ჩქარა, ჩქარა, თორემ გაივლის.

შემომძახა ფანჯარასთან მიმდგარმა ჩემმა ექვსი წლის ვაჟმა, სანდრომ. მეც წამოვხტი, ფანჯარასთან მივიჭერ: მინდოდა გამეგო, თუ რას ეძახოდა „ტყუილს“ ჩემი ვაჟი, ვინაიდან საჭიროა ვამამ იცოდეს შვილის შეხედულება ამა თუ იმ საგანზე.

— აბა, სად არის, გენაცვა, ტყუილი?

— აი, აი, ვერა ხედავ?

— ვერაფერს ვერ ვამჩნევ, შენმა გაზრდამ.

— აი, კაცო, აგერ არ მოდის? ვერ ხედავ რა მოკლე ფეხები აქვს?

— მერე რა ვუყოთ, რომ მოკლე ფეხები აქვს? ეს ხომ ჩემი ნაცნობი ექიმი›. „ტყუილს“ რა უგავს.

სანდრო გაწითლდა. აშკარა იყო დარცხვა, თავი ჩაღუნა, მაგრამ ისევ მალე გამოერკვა და დინჯათ წარმოსთქვა.

— მაშ რათა სწერენ წიგნებში, თუ სიმართლე არ არის?

— რასა სწერენ, ბიჭო?

— რასა სწერენ და **„ტყუილს მოკლე ფეხები ასხიაო“**.

მე აღარ მახსოვს, რამდენი ხანი ვიცინე, მაგრამ, როცა გონს მოვედი, ჩემი ვაჟი ტირილისაგან თვალებ დასიებული დამხვდა. ის ერთობ თავმოყვარეა და ვერ აეტანა ჩემი გააფთრებული, თავდაუჭერელი სიცილი. ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, როგორშიაც ფედერალისტები „მიწის სოციალიზაციის“ მიღების შემდეგ. უნდა დამემშვიდებია ბავშვი, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო რაიმე თვალსაჩინო მაგალითით ანდაზის ნამდვილი შინაარსის ახსნა-განმარტება.

— აბა რასა სტირი გენაცვა, შენ კი არა, პროფესორები სცდებიან. რა ვუყოთ მერე. აი აგიხსნი ახლა და შემდეგ აღარ შეგცდება.

— მე ის მეგონა... მაგ ... სწერენ! — წაიბუზღუნა სანდრომ და შემირიგდა.

— სიმართლე თუ გინდა შენ არც თუ დიდი შეცთომა მოგსვლია. ის ექიმი მართლაც რომ განხორციელებული ტყუილია, კანონათა აქვს შემოღებული ათ სიტყვაში ცხრა და ზოგჯერ მეტი ტყუილიც გამოურიოს. მაგრამ ანდაზა ასე მაინც არ უნდა გავიგოთ.

— მაშ როგორ?

— აი როგორ. ყველა მატყუარა კაცს კი არა აქვს მოკლე ფეხები, ზოგჯერ გრძელ ფეხებიანიც საშინლათ სტყუიან. საქმე ის არის, რომ თითონ ტყუილსა აქვს მოკლე ფეხები.

— აკი მოკლე ფეხები ჰქონდა იმასაც...

— ეგ სულ სხვაა. ის კაცია. მე კი გეუბნები ტყუილის შესახებ. ტყული სულ სხვა ცნებაა.

— რა არის?

— რა არის და კაცი არ არის, სხვა შემეცნებაა...

— რა არის შემეცნება?

— შემეცნება სხვა არის და კაცი კი სხვა.

— კაცი არ არის შემეცნება?

— კაციც ერთგვარი შემეცნება არის, მაგრამ კაცს ნამდვილი ფეხები აქვს, ტყუილს კი არა.

— მაშ რაათა სწერენ, აქვსო?

— ოჰ ღმერთო ჩემო! აქვს მოკლე ფეხები, მაგრამ ნამდვილი ფეხები არა აქვს.

— მოკლე ხომ მაინც აქვს!

— არა, შვილო, შენ ვერ გაიგე. ეშმაკობია მაგალითს მიემართოთ. აი ავიღოთ ეს გაზეთი. ამ გაზეთს „სახალხო ფურცელი“ ჰქვია. შიგ მარტო ფედერალისტები სწერენ. მათ ტყუილები უყვართ.

— მაშ მოკლე ფეხები ექნებათ.

— მხოლოდ ზოგიერთს. სხვები კი წვრილსა და მაღალ დონ კიხოტურ ფეხებზე დგანან.

— როგორ ფეხებზე?

— დონ კიხოტურ ფეხებზე.

— დოხტურები არიან?

— არა, შვილო, ნუ გაიპირე საქმე. დონ კიხოტი კაცი იყო. ჰო, აი ამ ფედერალისტების გაზეთში აი რასა სწერს ერთი გაფედერალისტებული სოციალ-დემოკრატი...

— გაროგორებული?

— გაფედერალისტებული.

— რისთვის გაფედერალისტდა?

— ინტერ, რომ ტყუილების წერა უყვარდა და არ დაანებეს. ახლა კი თავისუფლათ შეუძლია ფედერალისტებთან ტყუილები სწეროს, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და შეუტყობენ.

— ვინ შეუტყობს?

— აი ჩვენ შევუტყობთ.

— ჩვენ რომ არ ვიცნობთ?

— ვის არ ვიცნობთ?

— ვისა და იმას... გაფერადისტებულს...

— ბიჭო, როგორ ვერ გაიგე. იმას კი არა აქვს მოკლე ფეხები, არამედ მის მიერ დაწერილ ტყუილს. აბა უყურე. აი აქა სწერია:

„სოციალ-დემოკრატია პირდება გლეხობას, რომ უნდა ჩამოერთვას სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო, დიდმესაკუთრეთა მიწები და გადაეცეს თვითმმართველობებს. შემდეგ რამდენიც მოგეპრიანოთ იმდენი მოხანით **თქვენ მიერ დაწესებულ მცირე იჯარით**“-ო.

ახლა აი აქედან აქამდე არის სულ სამი გოჯია. ხომ მოკლეა?

— კია მოკლე.

— თუ მოკლეა აი აქა სწერია:

„ამ მიწაში კაპიტალისტს შეუძლია **მეტი იჯარის მიცემა**, ვიდრე რომელიმე გლეხს, ამიტომ მიწაც კაპიტალისტს ერგება, გლეხი კი ისევ ძველ მდგომარეობაში რჩება“.

— მოკლე ფეხები სადაა?

— როგორ თუ სადაა? აი ეს გაფედერალისტებული სოციალ-დემოკრატი იქა სწერს: „მის მიერ დაწესებულ მცირე იჯარას მისცემს გლეხი“ და სამი გოჯის შემდეგ კი სწერს: „კაპიტალისტი მეტ იჯარას მისცემსო“. ამგვარათ ტყუილმა თავი ვერ დამალა და სამი გოჯის შემდეგ გამოხტა, რადგანაც მას მოკლე ფეხები აქვს.

— მერე სად ნახე ფეხები?

— ფეხებს ჩვენ იმ მანძილს ვეძახით, რომელიც ტყუილის თქმიდან მის გამოაშკარავებამდე გაივლის.

— თუ გაივლის მაშ ფეხები ჰქონია.

— გაივლის დრო და არა ტყუილი. თუ გლეხები მცირე იჯარის ფულს დაწესებენ, კაპიტალისტი როგორ მისცემს მეტს? მაშასადამე ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ვერ დაიმალება.

— იმ კაცსაც ხომ ჰქონდა მოკლე ფეხები...

— ეეეჰ! შენ კიდევ შენსას ჩაიცინდი. ის კაცი იყო და მე კი ტყუილის შესახებ გელაპარაკები.

— ა?

მორიელი.

ჭრელი ამბები.

პროვინციალიზმი.

ქიზიყში სტუმრობის დროს ერთ ნადიმზე შემოგვიღამდა. ღამის გასათევ ბინამდე ხუთიოდ ვერსი ტალახიანი გზა გვქონდა გასავლელი. ჩემი მეგობარი დაჟინებით მოითხოვდა ქვეიფის შეწყვეტას და წასვლას. იმან ასე დაასაბუთა თავისი მოსაზრება:

— ჯერ კიდევ ცოტა სინათლეა, დროზე წავიდეთ თორემ ტალახიანი გზაა და გავისვრებითო.

უკანასკნელმა სიტყვამ საერთო ჩუმი სიცილი გამოიწვია. ჩვენ ვერ გაგვეგო მიზეზი სიცილისა, ვიდრე ერთმა იქაურმა მეგობარმა არ განგვიმარტა ადგილობრივი მნიშვნელობა ზემო აღნიშნული ბოლო სიტყვისა.

აი ახლაც. „თეატრი და ცხოვრება“-ს უკანასკნელ მე-23 ნომერში მოთავსებულია „უკანასკნელი მაირი“ მგოსანი ვეფხო ფშაველასი, სადაც ის სხვათა შორის უსაყვედურებს უმადურ სატრფოს და სწერს:

„არ გინდოდა რომ მიგელო
და შენდამი შენაწირზე
უარი სთქვი ურცხვად და თან
ასწითლდი და აიმრიზე.
მე მსწრაფელ ფიქრი ამიღელდა,
ფიქრს სხვა ფიქრი მოემატა
და **ავქოთდი**... და შენ გკითხავ
მიპასუხე, რისთვის, რათა?“

ძნელი სათქმელია, თუ რითი უპასუხებს ურცხვი სატრფო აღელვებულ მგოსანს, მაგრამ ჩვენის აზრით მიზეზი „აქოთებისა“ უბრალო პროვინციალიზმია.

—

ეროვნული

ნებართვა.

გაზეთ „სახალხო ფურცელში“ ასეთი ცნობა სწერია:

„ეგ. ნინოშვილის (ინგოროყვას) ძეგლი. ქ. ოზურგეთმა ნებართვა სთხოვა ამერ.-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრს კ. აბაშიძეს მწერლისთვის დამზადებული ძეგლის დადგომისა. კომისარმა აბაშიძემ უკვე დართო ნება.

არც ერთი დიადი საქმე უმსხვერპლოთ არ კეთდება. აქ კი თითქო მხოლოდ თხოვნა და კომისარმა უკვე ნება მისცა ეგნატეს ძეგლის დადგომისა. „ეშმაკის მათრახის“ ქრონიკორი სულ სხვა-გვარათ ასწერს ამ ცნობას.

„როდესაც კომისარმა კიტა აბაშიძემ შეიტყო ეგნატე ნინოშვილისთვის ძეგლის დადგმის განზრახვის ამბავი, მყისვე იკითხა:

— ვინ იყო კაცი იგი და რომელი პარტიისა შემავალი?

მას უთხრეს, რომ ნინოშვილი მწერალია მეოთხმოცდა-ათე წლებისაო, მან მოითხოვა ორივე ტომი თავისი კრიტიკული ეტიუდებისა: თვალი აავლ-ჩაავლო მუნ აღნუსხულ მწერალთა სიას.

— არა ჰყოფილა საქართველოში მწერალი ასეთი, რამეთუ არა სწერია სახელი მის ჩემთა ორ ტომთა შინა.

კვალად იყო მოხსენება შესახებ მწერლისა მის, რომ იგი ეკუთვნოდა მესამე დასსა და ამიტომ არა ღირს იყო მოთავსებათ მწერალთა მათ შორის, რომელთა მფარველობდის კალთა კრიტიკოსისა კიტისა.

და სთქვა კრიტიკოს კომისარმან პასუხად ამისა:

— რაოდენ ლექს ჰქმნა მგოსანმა მან, ნინოშვილად წოდებულმან?

და მიუგეს მას:

— არცა ერთი თავადო, რამეთუ ვაჟი იგი არა იყო შობილი მგოსნად.

— მაშ რისთვის აღეგოს მას ძეგლი ოდეს მგოსანნი ჩვენნი უძეგლოდა ვლიან?

ოდეს გ-ნუმარტეს მას ხასიათი მწერლობისა ეგნატეს, ჩაფიქრდა კომისარი იგი და შემდგომად ჭუმილისა დიდისა ღაღად ჰყო:

— მიეცეს ნება ძეგლსა მასსა დადგომისა“.

აი, ამხანაგებო, როგორ ყოფილა ნამდვილი ვითარება საქმისა, თუ ესეც და „სახალხო ფურცლის“ ცნობაც ორივე მოჭორილი არაა. ვინ არ იცის, რომ რეპორტიორები ხშირათ უკეთებენ სახელს მათ კეთილისმყოფელებს!

—

„ავტონომია“ თუ „თვითმართველობა“.

მე არასოდეს არ ვყოფილვარ ზედმეტად სასტიკი, მაგრამ ამ ბოლო ხანებში პირტაპირ გულჩვილობის სენმა შემიპყრო. მართალია ქართული ანდაზა ამბობს: „ღმერთმა ერთი რათ აცოვნოს, თუ მეორე არ წასწყმიდოსო“, მაგრამ ხომ ყველაფერს თავისი ზომა უნდა ჰქონდეს. არ შეიძლება მაგალითად სულ მუდამ ერთი „სწყმიდოს“ და მეორე კი „აცხოვნოს“. ამას მე ჩვენებურ ფედერალისტებზე ვამბობ.

გული სევდითა და თვალი ცრემლით მევსება, როცა მათი ხანმოკლე ისტორიის უკუღმართობას თვალწინ დავიცურათხატებ ხოლმე. განა შეიძლება რამოდენიმე ათეული წლის არსებობის დროს პარტიას ერთი ბედნიერი დღე არ ენახოს და ერთი სასარგებლო საქმე არ გაეკეთებიოს? ასე უმადურათ მოეკიდა ბედი ამ ბედშავ ხალხს.

მთელი ოცი წლის განმავლობაში ამტკიცებდენ, რომ სოციალ-დემოკრატებს სამშობლო არ უყვართ, ის მხოლოდ ჩვენ გვიყვარსო. ამას მცირეოდენი გასავალი ქე ჰქონდა იმ დროს, როცა სიტყვა სიტყვათ რჩებოდა, მაგრამ როგორც სიტყვა საქმეზე მიდგა,

დამალვა შეუძლებელია.

და მართლაც გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატებს სამშობლო ჰყვარებიათ ქართულათ—თვითმართველურათ, ხოლო ფედერალისტებს ბერძნულათ—ავტონომიურათ (ანუ ავტომატიურათ) მთელი ოცი წელიწადი მათი პროგრამის ქვაკუთხედს **სიტყვა** „ავტონომია“ შეადგენდა და ახლ ასე მოულოდნელათ ეგ სიტყვაც ფეხქვეშ გამოიცალეს.

აი ამან გამოიწვია კამათი „სიტყვის“ შესახებ, ვინაიდან ფედერალისტების არსებობა მხოლოდ

სიტყვაზე იყო დამყარებული და არა საქმეზე. ამიტომ ვის არ აუჩუყებს გრძნობას აი ასეთი გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სიტყვები „სახალხო ფურცლისა“, რომლითაც მან მიმართა სოციალ-დემოკრატებს (№ 879):

„პოლიტიკურ პარტიას არ შეშვენის **სიტყვების** შიში და მათ წინაშე ძრწოლა!“

ჩვენც გთხოვთ სოციალ დემოკრატებო! იწამეთ ღმერთი, იხმარეთ სიტყვა „ავტონომია“ და იხსენით ეს ბედშავი ხალხი სრული განადგურებისაგან“.

სამართებელი.

წერილის ნაგლეჯები

(ნაგრიშ-შვილიხეური)

1. შესხმა.

შენ ხარ ჩემი ტრფობის ბულკი,
კანდიტერში გამომცხვარი;
შენ პური ხარ, თეთრი პური
ღრუბელა და ლოყა-მწვარი:
შენ ერბო ხარ, გრძნობის ერბო,
ვნების ცეცხლით გადამდნარი;
შენ თაფლი ხარ საოცნებო,
ხან ტკბილი და ხან კი მწარი.
შენ ყველი ხარ, ჭენიტი ყველი,
სახე ყველი და მწვიმარი;
შენ კრიპუჭის შაქარი ხარ
სიტკბოებით მომღიმარი;
შენ ღვინო ხარ, ლალის წყარო
ტიკჭორიდან მომდინარი;
შენ ხარ ქორფა ქართოფილი
ხან უმი და ხან შემწვარი...
შენ ხარ საბჭო, სულის საბჭო
ხან წყნარი და ხან მღელვარი;
შენ ხარ გულის კომიტეტი
და გონების კომისარი...
შენ ხარ ჩემი ბაირაღი
და წითელი ფარჩის დროშა
კისერს მოვსტეხ, თუ რომ ვინმემ
შენზე ცუდი წამორრაშ...

---

2. მოუსვენრობა.

მაისის მზეე, საოცნებოვ,
ინდოეთის მარგალიტო.
ვერ ვისვენებ, რაც რომ გახდი
ჩემი გულის ინკოგნიტო.
მე შენს შესხმა შემკობაში
ლამის ენა წავიკვნიტო,
ოჰ, მაკმარე შენს გიეს ტანჯვა
ალისფერო ჩემო გვრიტო!
მე უშენოთ მზეს ვერ ვნახავ,
ვერ ვიხილავ ღამე მთვარეს;
მე უშენოთ ფეხს წავიმტრევ
თუ წავედი უცხო მხარეს;
მე უშენოთ წყალს ვერ დავლევ,
პირში ლუკმას ვერ ჩავიდებ;
მე უშენოთ დაკრილ გულზე
მკურნავ წამალს ვერ დავიდებ...
ჰა ხომ ხედავ, სულის ღმერთო,
რა რიგ ვსტირი, რა რიგ ვკივი,
თავს წავიხჩობ, თუ არ გახდი
ჩემი გულის კოლექტივი!

---

3. ლოდინი და იმედი.

ორი დღეა, ჩემო მწველო,
შენგან წერილს ველოდები;
ორი დღეა გულზე მაწევს
შავი სევდის ქვა-ლოდები!..
აღარ ვიცი ვის მივარდე,
ჯავრი ვისზე ამოვიღო;
ლამის არის ყველას ვცემო
ყველა ტყავში ამოვიღო!..
გევედრები, რომ პასუხი
გამოგზავნო ჩქარა, ჩქარა,
თორემ ფიცავ ამ ლოდინში
გაეხდი ვიჟი მეტიჩარა!..
...მაგრამ იქნებ შენი გული
საიდუმლოთ დიპლომატობს,
ორმოს მითხრის ზურგის უკან,
თითელბაზობს და მღალატობს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ შენი ცელქი თვალი
წამწამს აწ სხვას უპაჭუნებს,
და შოლტივით ბროლის თითი
სულ სხვა ყარებს უკაკუნებს?!.
არა, არა! გთხოვ მომწერო.
რომ არ არის ეს მართალი,
თორემ იქვმა დაღრნა გული
და დამიფსო ორივ თვალი!

4. სასოწარკვეთილი ლოდინი.

მე არ ძალმიძს მეტი მოცდა,
მე არ ძალმიძს მეტი თმენა!
ტანჯვის ჭინკებს გაუმართავს
ამ ჩემს გულში ცეკვა-ლხენა!
სევდამ გული დამიცხრილა,
ცრემლმა სახე დამიღარა
და ლოდინმა გულ საკლავმა
ტვინში ნემსი გამიყარა!..
წამი ჩემთვის მთელი დღეა
და დღე-ღამე საუკუნე!
რომელ ხეზე ჩამოვეხჩო
თუ იმედი გამიმტყუნე!..

—

5. ვედრება

ჩემო გრძობის კომიტეტო,
და გონების კომისარო,
ცრემლის ნთხევით გევედრები
შემიბრალო, შემიყვარო!..

პოდბიპენტა.

ოგივატელი

(ზოოლოგიის სახელმძღვანელო წიგნიდან).

ობივატელი ძალიან გავრცელებული, ადამიანის მსგავსი ცხოველია. ცხოვრობს ადამიანთა შორის და გარეგნობით მისგან ვერც გაარჩევთ.

სამაგიეროთ ობივატელს ადვილათ გაარჩევთ ნამდვილ ადამიანისაგან შინაგანი თვისების მიხედვით.

სული ობივატელს პაწია აქვს, მოყვითალო, ნაცრისფერი, ლორწოიანი და უსახო.

ჭკვა პაწაწკინტელა, მღვრიე ფხვიერი. სისხლი წყალწყალა. არც ცივი და არც თფილი.

ობივატელი იკვებება „ყურმოგუული“ ამბებით: სჯერა ყოველივე, რასაც „ამბობენ“, „გადმოგვცემენ“, „მოგვითხრობენ“.

— გიგონეთ—ამბობენ, რომ სამხედრო მინისტრს ბრძანება გაუცია კერენსკი დაატუსაღეთო?

ობივატელი სდგას ერთ წუთს გაშტერებული თვალებით და მოწყვეტით მირბის ახალი ამბის გადასაცემათ.

— მოითმინეთ, მე შემცდა, კერენსკიმ დაატყვევა სამხედრო მინისტრი.

— სულ ერთია. გმადლობთ. გავიქცევი და ცოლს ვახარებ, მდგმურსაც! როგორ გაუკვირდებათ!?

ობივატელს რომ ჩუმათ ყურში ჩასჩურჩულოთ:

— წუხელის, ღამით ვილგელმი დაუნახავთ ჰაეროპლანში და თან ასი ყუმბარა ჰქონდათ.

ობივატელი გაფითრდება, მუცელს აიტკენს და ორ სამ დღეს დიეტაზე გადავა.

რწმენა ობივატელს არ გააჩნია, იმის ჭკვა რწმენას ვერ იტევს, ვერ იგუებს.

დღეს ის თამამათ უდგია გვერდში დემონსტრანტებს და ხმა მაღლა მღერის—„ზუერგი ვაქციოთ ძველ ადათ წესებს“ და ხვალ პურის მყიდველთა კუდში სდგას და მჭერმეტყველობს ამნაირათ:

„უნდა მოგახსენოთ, რომ წინათ ამაზე უარესი არ ყოფილა ჩვენი მდგომარეობა, თითქმის უკეთესიც იყო“. ერთი კვირის შემდეგ შეიძლება ხულიგანებსაც მიეკედლოს, მარა ერთი დაცახანება საჯმაოა, რომ სორო მონახოს!

ობივატელი ჯოგიდან გამოყვანილ ხარს ჩამოგავს: თუ მარტო დარჩა—იბნევა, შიში იპყრობს, არ იცის სად შეაფაროს თავი და უგზო უკვლოთ დაეხეტება. ხალხში ის გულადობს, ხმაურობს, ლაპარაკობს, ხელებს იქნევს, ერთი სიტყვით სცდილობს სხვებს ემსგავსოს.

ობივატელი სწრაფათ ძრავლდება სიბნელეში, სინათლეში და თავისუფლების დროს მქლევდება, ჭქრება. სიკვდილის შემდეგ ობივატელი ცაში არ მიდის, ვინაიდან მისთვის ადგილი არც ჯოჯოხეთშია და არც სამოთხეში.

ობივატელის გვარი მიწის გასაპოხიერებლათ არ ვარგა: მხოლოთ მავნე ბალახს აღმოაცენებს.

თარგმანი: ა. **რემანისა.**

უკრაინა

უკრაინა, — ეგ ფედერალისტების „სოციალიზმია“.

1906 წელში მეგრელებს დასცინოდენ: როცა დამსჯელი რაზმი მოვიდა და ხალხს ჰკითხა: „რა გინდათ, რასა თხოულობთო“, მეგრელებმა მიუგეს:

— ჩვენ ის გვინდა, რასაც გურულები თხოულობენო.

— ძალიან კარგი, გურულებს უკვე მისცეს რასაც თხოულობდენ და ახლა თქვენც მიირთვითო და დაუშინეს მათრახები.

ფედერალისტებიც „იმას თხოულობენ, რასაც უკრაინელები“.

უკრაინას უნდა ავტონომია, ფედერალისტებიც ითხოვენ ავტონომიას.

უკრაინელებს უნდათ ფედერაცია, ფედერალისტებიც ხომ ამისი მთხოვნელები არიან.

უკრაინა ადგენს უკრაინულ დივიზიებს, ფედერალისტებსაც უნდათ ქართული რაზმები.

საქმე მხოლოდ იმაშია, რომ უკრაინელებს ყოველივე ეს დღესვე სურთ, ხოლო ფედერალისტები ახლავ არ ეპოტინებიან და დამფუძნებელ კრებას უცდიან.

როდესაც აკაკი ჩხენკელმა სთქვა: ჩვენ უნდა ვებრძოლოთ უკრაინელების ასეთ შეხედულებას, ვინაიდან დღესვე იმის განხორციელება, რასაც უკრაინა ეტრფის რევოლიუციონურ ძალთა გათიშვას და დასუსტებას გამოიწვევს, ფედერალისტები ყალბზე შესდგენ, ვინაიდან ამ სიტყვებში თავისი „სოციალიზმის“ შეურაცყოფა დაინახეს და „სახალხო ფურცლის“ № 880 ნომრის მოწინავე ამ საფუძველზე ააგეს:

აი ამ მოწინავეში სწერია:

„აკაკი ჩხენკელი იმდენათ გაჟღენთილი. მენშევიკური ცენტრალისტური სულით, რომელიც ს. დემოკრატიამ დაიმკვიდრა ძველი თვითმპყრობელობისაგან, რომ გაცხარებულ პროტესტს უთვლის უკრაინელებს: როგორ გაბედეთ ავტონომიის და ფედერაციის ხსენება, ეს ხომ ცენტრალიზმის დარღვევაო და ომსაც ემუქრება“.

ვიცი თქვენ არ დაიჯერებთ ამას და იტყვით: „შეიძლება კაცი ცენტრალიზმით გაჟღენთო“. მაგრამ რედაქცია როგორ შეიძლება ისე გაჟღენთოს სისულელით, რომ ასეთი რამ დასწეროს“.

მე ამას „სიყვარულით“ ვხსნი. ფედერალისტებს ისე უყვართ თავისი სოციალიზმი — უკრაინა, რომ საკმარისია იგი სხვამ ახსენოს, რომ ხასიათი წაუხდეთ.

შეყვარებული ქართველი ყოველთვის „ბრმაა“, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში თურმე „სულელიც“ შეიძლება იყოს.

უკრაინა იმათი სოციალიზმია.

ისტორიკოსი.

გამოცანა

(ზედა — რგანისათვის)

ერთი რამა სულიერი
მარგანეცში მძრომელია,
გაიძვერა და მყვლეფელი
გლეხთა სისხლის მწოველია.

—

პრისტავების მეგობარი,
უნდო, ჩარჩი, კუდა მელა,
მეკრთამე და მუხანათი,
აგრეც იცნობს იმას ყველა.

—

ლაპარაკით პატიოსნობს,
გაგაბრუებს ტკბილი ენით,
გარეგნობით ახალ-გაზრდობს
წვერს იღებავს შავი ინით.

—

თუ ვერ მიხვდით, კიდევ გეტყვით
ის „ზოდის“-ს მფლობელია
შიდით ჰკითხეთ ბუხრაშვილებს
იქ არს ბევრი მთხრობელია.

მცნობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატი აკაკი ჩხენკელი.

ნახატი ზ. ქიქოძისა.

აკაკი ჩხენკელი. შარჟი და პოზები სხვა და სხვა სიტყვების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკი პროვინციაში.



მ ო ნ ო ლ ო ბ ა.

სიმშვენიერე პოროხის ხეობისა ყალმით არ აიწერება და სხვა რამ იარაღი მე არ გამაჩნია.

„ბუმბერაზი, მწვანით შემოსილი მთები და მათ შორის ვიწრო ზოლი ანკარა მქუხარე მდინარეებისა“.

ეს მხოლოდ უბრალო სიტყვებია და სხვა არაფერი.

აკაკი ჩხენკელი აქეთ ხშირად ყოფილა, ვინაიდან აქარა მისი რაიონია, მაგრამ დროთა ვითარებაც თავის ბეჭედს ასვამს ბუნებას და ის, რაც გუშინ, რეაქციის დროს, ცივი სიმშვენიერით იყო შემოსილი დღეს უფრო გულთბილი და მიმზიდველია.

მე გამოცა „შიშველ ბუხართა“ სიმრავლემ და როცა გავიგე მათი განტიტვლების მიზეზი, გულში ჩვენი მხედრობისადმი ტკბილი გრძნობა აღმეძრა.

თითონ მურღული საუცხოო ლამაზ ალაგას არის გაშენებული, მდინარე მურღულის პირათ. ეს ქარხანა სპილენძის მადნებს ამუშავებს. რა კეთილი ხალხია ეს ინგლისელები! სწორეთ ენა ვერ ასწერს, რამდენი რა არ მოუწყვიათ, რამდენი სახლები და მანქანები დაუდგამთ, რამდენი გზები და ხიდეები დაუკოეებიათ, რამდენი ფანრები აუწყვიათ და რამდენ ჩვენებურ მუშას ამუშავებენ. თითონ კი რა ყველა ამის სამაგიეროთ? მხოლოდ რაღაც სპილენძის ნაპრები რამდენიმე ათას ფუთობით.

ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ამ უზარმაზარი ქარხნის დირეკტორმა მოახდინა. ის ეშმაკრიტი ინგლისელია: დინჯი, თავაზიანი, აუღელვებელი, ხმელი და მაღალი. ის ლაპარაკობს თითქმის ყველა ევროპიულსა და ადგილობრივ ენებზე, გარდა ფრანგულისა, ნემეცურისა, იტალიანურისა, რუსულისა, თათრულისა, პოლონურისა, ქართულისა, მეგრულისა, სომხურისა და აფხაზურისა.

მაშინ როდესაც აკაკი ჩხენკელი ქარხნის მუშათა ფრენი აღგზნებულ სიტყვებს ამბობდა თანამედროვე რევოლიუციონური მომენტის შესახებ, მე პატივცემული დირეკტორის ხელმძღვანელობით ვთვალიერებდი ქარხანას, რისთვისაც ამ შორე მანძლიდან ვუძღვნი მას გულწრფელ მადლობას ინგლისურ ენაზე.

უკვე ღამის ბინდი ჩამოწვა მურღულის ხეობაში, როცა მე (და ჩემთან ერთად აკაკი ჩხენკელი) გამოვეთხოვე ქარხნის მუშებს. მათ უნდოდათ ჩემთვის სიტყვით მოემართათ, მაგრამ დაავიწყდათ და ვინაიდან დაყოვნება აღარ შეიძლებოდა გამოვემგზავრეთ ბათუმისაკენ.

უკანასკნელი დღე ბათუმში.

უკანასკნელი დღე ბათუმში ყოფნისა ასე გავინაწილეთ: მე უნდა წავთრეულიყავ სადარბაზოდ თანამშრომლებსა ჩემ მეგობრებთან, ხოლო აკაკი ჩხენკელი წაბრძანებულიყო ჯერ აჭარელთა კრებაზე, შემდეგ მუშათა დეპუტატების საბჭოს კრებაზე; იქიდან სალდათთა დეპუტატების საბჭოში გადაეარა, ხოლო ამის შემდეგ დასწრებოდა პარტიულ თანამოაზრეთა კრებას.

პირველ ყოვლისა მე ალექსანდრე. ბლიკავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედმა გამიღიმა. თვითმართველობის დარბაზში აპარელთა კრება ჯერ კიდევ არ გათავებულიყო. აუარებელი ხალხი გულმოდგინეთ უსმენდა აკაკ ჩხენკელს.

აი კრების თავმჯდომარე, იგივე თავი ბათუმის ქალაქისა, პატივცემული ევ. კრინიცკი.

იქვე შორი ახლოს ზის ცნობილი საზოგად

მოვინახულე. მთელ საჯოჯოხეთოს ეგონა, რომ ის უკვე განესვენაო. სრული სიცარეა. ასე ჯანსაღათ და მხიარულათ ის მე ჯერ არ მინახავს. ის იავნაში იწვა პირაღმა და თავზე გაზეთი „სახალხო ფურცელი“ ეფინა ბუზებისაგან თავის დასაფარავათ. ეს ახალი დანიშნულებაა ამ გაზეთისა და მისი აღმოჩენა ჩვენს თანამშრომელს ეკუთვნის. მე მაისვე ავხადე ცაზეთი და ფრთხილად გამოვაღვიძე ამხანაგი.

ხანგრძლივი მუსაიფის შემდეგ გამოირკვა, რომ ა. ბლიკვაძე მხოლოდ ძალებს იკრებს, „ეშმაკის მათრახის“ ფურცლებზე გამოსალაშქრებლათ, რასაც გულის ფანცქალით უნდა მოელოდეს ყოველი მკითხველი. როდის იქნება ეს მეორეთ მოსვლა, არავინ არ იცის ისევე, როგორც არავინ იცის როდის იქნება დამფუძნებელი კრება რუსეთისა.

ამ იმედით დავბრუნდი მე ალ. ბლიკვაძის სადგომიდან და ჩემს სიხარულს კვალად სიხარული მიემატა, როდესაც გზათ გადავეყარე ძვირფას ამხანაგსა და მეგობარს გრიგოლ სოლოროვს. მე მის შეხვედრას მოუთმენლად მოველოდი, ვინაიდან ქალაქის საქმეებში ერთობ გარკვეულია და ესეც არ



იყოს იგი ხელმძღვანელობს ბათუმის ერთად ერთ გაზეთს. ხანგრძლივი მუსაიფის შემდეგ მივაღწიეთ ქალაქის სამმართველოს, სადაც მეგულვებოდა მეორე ჩემი მეგობარი და სიყრმის თანამგზავრი ამხანაგი ნაკო აღნიაშვილი.

მოღვაწე, ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის წევრი ბ-ნი კობახიძე.

აქვე ზის ჩვენი იუმორის მამათ-მთავარი და უწარჩინებულესი წარმომადგენელი საყვარელი მწერალი დავით კლდიაშვილი.



მე უცებ ვიძვრე კარანდაში და ვცდილობ ყველა მათგანი ჩავიხატო ჩემს რვეულში. იმას აღარ მივსდევ ჰგავს, თუ აღარა ჰგავს, ვინაიდან დრო აღარ არის, სადაცაა კრება გათავდება და ხალხი დაიშლება.

აი იწყებს მშვენიერ სიტყვას ერთი საყვარელ თაგანი და მე ვცდილობ ოდნავ მაინც გადმოვსცე მისი სახება ჩვენს მკითხველებს. ლაპარაკობს იგი ხალხის გასაჭირზე, უზომო შიმშილობასა და სიღარიბეზე. კრება დიდის გულმოდგინებით უსმენს მას.

აკაკი ჩხენკელი ერთი კრებიდან მეორეზე გარდაიცვალა, მე კი წავედი ჩემი ფეხმოტეხილი მეგობრის სანახავად. ის სახლში დამიხვდა. უნებლიეთ ვინატრე: ნეტავ ყველა ჩემს მეგობარს ფეხი მოტეხილი ჰქონდეს მეთქი და ეს ნატვრა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ თუმცა რამოდენიმეჯერ მივაკითხე ზოგიერთ მათგანს, მაგრამ ამაოდ, არასოდეს სახლში არ დამიხვდენ.

ასე დამთავრდა უკანასკნელი დღე ჩემი ბათუმში ყოფნისა. მეორე დილით მე უკვე თფილისისკენ მოვიქროდი. მატარებელში ხალხი ძლიერ ცოტა იყო. ჩემი აზრით თუ ვისმე ქუთაისიდან თფილისში წამოსვლა უნდა, ის ჯერ ბათუმში უნდა ჩავიდეს, იქ იშოვნოს ადგილი და წამოვიდეს თფილისისაკენ.

(შემდეგი იქნება)

ეშმაკი.

ქუთაისი

(მამულიშვილ ქალთა კრებაზე X მიერ წარმოთქმული სიტყვა).

დღემდის, ქალებო, რაც სიზმარშიც
ოცნებით ჩვენ ვერ წარმოგვედგინა,
შემოგვწყრა ღმერთი, და აჯანყება
ჩვენს ტურფა ერსაც წარმოეღინა.
ეს აჯანყება, ქალ-ბატონებო,
არ გავს ძველებურს, მამულიშვილურს,
და ამისათვის თქვენ მოგიწვიეთ,
უშველოთ რამე ამ საშიშარს წყლულს.
ხედავთ რუსეთის რევოლუციას
ბატონ პატრონი' ქუჩა გაუხდა?
ქართველ ხალხშიაც ნიშნები მოსჩანს,
ქუჩა ბძანებლობს, სხვა კი გაუქმდა.
და დროზე უნდა მივიღოთ ზომა,
არ შემოიპრან ჩვენსა უბანში,
თორემ თუ ძალა ხელში ჩაიგდეს

გაგვიპირდება, გამოსვლა კარში.
გახსოვთ კრებაზე, ნეტარ დროისა,
რომ შემოჰყარეს „ქუჩის ქალები“?!
თუ მაშინ შეეძლეთ, ეგ მხოლოდ ბრძოლით
დღესაც ვიჩვენოთ ჩვენი ძალები.
მე თქვენ, ქალებო, მისთვის მოგმართავთ
(და გამართლდება მწამს იმედები,)
რომ ჩვენი ტანჯულ ერის მარადის
დამცველიც იყავთ და თან დედები.
სასწაულებით ჩვენი სამშობლო
არა ერთგზობის გადარჩენილი,
მტერი უძლეველ დაუძლეველია,
და საქართველო კვლავ აღდგენილა.
და ჰა ის ძალა, რომელიც მუდამ
დარაჯათ ედგა ჩვენს ტანჯულ ერსა,
გჯეროდეთ, აწიც აღარ გასწირავს
და დაამარცხებს შემოჭრილ მტერსა.
გუშინ დეპეშამ სამწუხაროთა,
თუმც დამარცხება ერთი გვაგემა,
აღარ გვკვავს კ—ა ერის დიდება,
მაგრამ ტყვილია ბრძოლის წაგება.
დამარცხება, ხომ გაკეთილა,
მუდამ წინ ახლავს გამარჯვებასა,
მაშ ბრძოლა უფრო შეუპოვარი,
მტრებს აუტირებთ მჯერა დედასა!
ჩვენ უნდობლობას შეჩვეული ვართ
და შავი კენჭით გვართობს ქართველი,
მეთაურობას მინც ვერ დავსთმობთ,
ჩვენ უნდა ვიქნეთ ქვეყნის მმართველნი.
აქ დავთავებ და მოგიწოდებთ
აამოძრაოთ მთელი ძალები,
შეიარაღდით ხმალ კაპარეითა,
გამოგადგებათ ჩანგალ დანები.
და ერთ არმიათ შეერთებულნი
ვეცეთ სოციალ-დემოკრატიას,
წავლეკოთ, მოვსპოთ, ნეღარ დავინდობთ,
ერის სასირცხო „ქუჩის პარტიას“.
თავ დაცვა დღემდის საკმაო იყო,
აწ საჭიროა თვითონ დავესხათ
კაბინეტები უნდა დავტოვოთ
ქუჩა გავხადოთ სისხლით სარეცხათ!..
მაშ მჯერა, მჯერა ქართველ ქალებო,
რომ გაამართლებთ ჩემს აზრებს ფიქრებს·
და გაათავა... გრძნობამ მოიცა,
მაგრამ მას კვალად ბოლოს ფიქრობს!..
მიმოიხედა არავინ მოსჩანს!
ყველა წასულა თავიანთ სახლში.
ქუდ მოგლეჯილი, ყვირილ ღრიალით,
ქალთა სარდალი გამორბის კარში!

სატანა

მორცხვი მოწაფე
და
ურცხვი მასწავლებელი

„ერთ იმერელ ქალს წერა-კითხვას ასწავლიდი.

— აბა ეს სიტყვა წაიკითხე — ვეუბნები მე.

— ი-ხ-ვ-ი. ამოიკითხა მან მარცვლობით და უცებ შეაერთა კიდევაც და წარმოსთქვა „კვატა“.

— რას ამბობ ქალო! სადა სწერია აქ კვატა? იგი კიდევ კითხულობს და ისევ „კვატა“ გამოუდის. ავეწეთე, გავბრაზდი, **მზადა ვარ გავგლიჯო იგი ასეთი უნიჭობისათვის...**

(„**სახალხო ფურცელი** № 880, **ფელეტონალაკი**).

რამდენათ შეეფერებოდა ფედერალისტების დალაქს მასწავლებლობა ეს მასწავლებელთა კავშირის საბჭოსთვის მიმინდვია გამოსარკვევათ. ყოველ შემთხვევაში ის ჯერ კიდევ ახალგაზდობისას ერთოს მხურვალე, მრისხანე და მგლეჯელი ტემპერამენტის პიროვნება ყოფილა. როდესაც იმერლის გოგონამ სიტყვით ფედერალისტური „ი-ხ-ვ-ი“ ამოიკითხა ფურცელზე კი პატარა „კვატა“ დაინახა, ზეპირ გადმოთქმაში სურათს თავისებური სახელი უწოდა. მართალია აქ დანაშაულობაც და უნიჭობაც განუზომელია, მაგრამ ჰედაგოგიკას თუ მიეხედავთ ამისთვის მასწავლებელი, (თუნდა იგი დალაქიც იყოს) არ უნდა აენთოს, გულის სიბრაზეც უნდა დაიცადოს და თუ ვინიცობაა ეს ვერ შესძლო **ბავშვის გაგლეჯვაზე** ყოველ შემთხვევაში ხელი აიღოს. მართლაც წარმოიდგინეთ; ის ანეგდოტი „კვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტას“ შესახებ მე გამიგონია სულ ცოტა ესთქვათ 300—400 მასწავლებლისაგან; მართალია ყველანი „დალაქები“ არა ყოფილან, მაგრამ მათში ბევრი ერია ნალბანდი და მეჩიქმეც. თითეული მათგანი ამბობდა, რომ მას შეემთხვა ასეთი ამბავი იმერელ ბავშვთან (განურჩევლათ სქესისა), შეემთხვა არა ერთსა და ორთან. ერთმა მასწავლებელმა მითხრა: მთელ კლასს ვაკითხებდი ერთად და წაკითხვით თუმცა „ი-ბ-ვ-ი“ წაიკითხეს, მაგრამ ზეპირათ ყვე, ლამ „კვატა“ დაიძახეო. მე ამას ტყვილათ კი არა ვლაპარაკობ. მე მაშინებს იმისი წარმოდგენა, თუ რა იქნებოდა ყველა მასწავლებელი რომ ჯერ „ანთებულიყო“, შემდეგ „გაბრაზებულიყო“ და ბოლოს „დაეგლიჯა“ ბავშვები? თუ მთელი იმერეთი არა, ის ნაწილი, სადაც იხვს „კვატას“ ეძახიან მაინც ამოყლეტილი იქნებოდა.

აი ასე საშიშია „დალაქი“ მასწავლებლათ.

მაგრამ „დალაქი“ არც თუ ფელეტონისტათ ყოფილა დიდი დოვლათი. თუ იმერლის გოგოს მასწავლებლათ ცოტაო თუ ბევრათ შესაწყნარებელი იყო იგი, ახლა, როცა სოც. დემ. მეთაურებს ჭკუას ასწავლის, თქვენ თითონ წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში იქნება.

„განა არ იცის დეპ. აკაკი ჩხენკელმა, რომ ავტონომია ითარგმნება რუსულად სამოუპრავლენიეთ და ქართულად კი თვითმართველობად! იცის მაგრამ ის ხომ სოციალ-დემოკრატია და ავტონომია კი პრესაში სოც. ფედერალისტებმა შემოიღეს“.

აი ეს ბ-ნი დალაქის ნახელავია და როგორც ხედავთ ჩინებულათ პასუხს. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ვერ გაიგებს კაცი, თუ რას უსაყვედურებს ავტორი აკაკი ჩხენკელს. თუ მართლაც სიტყვა „ავტონომია“! რომელსაც მსხვერპლათ შეეწირენ ფედერალისტები, ქართულად „თვითმართველობად“ ითარგმნება და თუ სოც. დემოკრატები თვითმართველობას მოითხოვენ, მაშინ მოთხოვნილების შესახებ დავა აღარ შეიძლება. მაშასადამე დავა ყოფილა იმის შესახებ, თუ რომელი ენა სჯობია, იხმაროს ქართველმა ხალხმა:

მაროს ქართველმა ხალხმა:

სოციალ-დემოკრატიული ქართული თვითმართველობა, თუ სოციალ-ფედერალისტური **ბერძ**ნული ავტონომია.

ფედერალისტები ყოველთვის „ბერძნულებენ“ სოც. დემოკრატებს ქართული ენის აბუჩად აგდებას, რასაც აშკარად ამტკიცებს აი ეს პატარა მაგალითიც.

გაიხედავ სწერია „ავტონომია“ სოც. დემოკრატები კი კითხულობენ „თვითმართველობაო“ სწერს ფედერალისტების „დალაქი“ და წარმოიდგინეთ არც „ანთებულა“ არც „გაბრაზებულა“ და არც „გასაგლეჯათ“ მივარდნია მათ.

ესეც კარგე ნიშანია ფედერალისტური განვითარებისათვის.

კოლო.

საქუთაისო

(ხ. ფ. პ. პროლეტარიული.)

ათი ათასჯერ რომ უწიროთ ეკლესიაში,
ასი ათასჯერ, რომ ულოცოთ სინაგოგაში,
ამ ჩვენ თავადებს ვერასოდეს ვერ დააჯერებთ,
რომ ბუდობს რამე აზრის მზგავსი იმათ გოგრაში.
თავისუფლება განა მისთვის სანატრელია,
რომ გრძნობას ავყვეთ, არ გავსაზღვროთ მისი თარეში?.
თავისუფლებას განა მისთვის მისწვდა ერია,
რომ აზრი წმინდა და გონება ჩავკლათ ყანწებში?
თავისუფლება!.. მაგრამ კმარა, მეც საქმე ვნახე,
მათ, ვინც არ იცის თუ რა არის ადამიანი,
მათ ვისაც არ აქვს, დაჭკარგვია კაცური სახე,
დღეს სახარების კითხვა მათთვის არის გვიანი.
მთელი ცხოვრება უსაქმური, და ხეტიალი
ბაღის კიდეზე, ბალახვანში, ფერმა, „სლაბოდკა“,
ეტლს ვერ იპოკნი, რომ გინდოდეს, ოხერ ტიალი,
ღვინოც არ არის, იმათვინ კი რიმი და „ოტკა.“
თუ რამ გაარჩდათ, მაღლობა ღმერთს, გაუყიდიათ,
დღეს ისე დავლენ, მარტო მსუბუქ ჯიბის ამარა,
თავიც არა სწუხს, ქვეყნის საქმე ფეხზე ჰკიდია
ბინისთვის ყველას სახეში ყავს თითო ფამარა.
მაგრამ რას ვეძებ, საქმე ამით რომ თავდებოდეს
დ. ეს ნიმუში ჩვენი წარსულ საქებ დროისა,
მხოლოდ თავისას სუამდენ, სხვას კი არა ნებობდეს

და არ ხდებოდნენ მისხვერპლი მათი დალალობისა!
ეხლაც ვერ ნახავთ ისეთ ადგილს სამმართველოსა
სადაც არ იყო თითო კაცი ჩასაფრებული
და ვით ობობა უცდის გლეხსა გასამრჯელოსა,
ააწკანის და გაუდგება გახარებული.
მე ჯერ არ ვიცი ვიდრე გასტანს მზგავსი წუთები,
როს შეჩერდება „ეს ქვეყანა ფეხზე მკიდია“
მაგრამ ის ხალხი ,ვინც დალეწა რკინის ხუნდები,
ამათაც მოსპობს!.. კმარა, თმენა ერთობ დიდია.

სატანა.

---

* *
*

პეტროგრადით ცნობა ჰქონდა
მემკვიდრეთ გლოვის ხმაზედა,
რომ ოც და შვიდ თებერვალსა,
ღამის თორმეტ საათზედა,
მუცელ კუჭის სიგანივრით
მიღწეული კოტრობამდე
უეცრადა გარდაკვლილა,
ბიუროკრატ მთავრობაძე.
ბევრსა გული აუჩუყდა
ცხარე ცოვლით იმანება,
მკვდრის სული, რომ შეავედრონ,
ხშირად კრება იმართება.
პანაშვიდებს მოუხშირეს,
კუბოც მტკიცე უმზადდება,
სამარესაც ღრმად უთხრიან,
თავის ნებით ვერ ადგება.
ვაიმე, ჩვენო მთავრობაძევ!
შიშს მგვრის შენი ძველი ძალა,
რა სიკვდილმა გაგიმეტა,
ეს დევგმირი რამ მოგშალა?
მთელ რუსეთსა აბრუნებდი,
გალესილი გქონდა დანა,
ეხლა როგორ გაგიმეტოთ,
გიგალობთ სულთათანა?
უდოვოთ, რომ დაგვაობლე,
ვინ გვეყოლოს მაგიერი,
ციხეებში ვინ დაალპოს,
მშრომელ ხალხის მებრძოლ მხსნელი,
სიმართლის მთქმელს ვინ შიბოს,
სასიკვდილოთ ბილწი ხელი,
წასვლა შენი, აღარ მოსვლა,
უკან წყალი, წინ მეწყერი.
მფარველობას ვინ გაგვიწევს,
რომ თან მიგყავს პოლიცია,
ხალხის მებრძოლთ ვინ მოუწყოს,
ციმბირისკენ ექსკურსია,
მათრახებით ვინ დააცხროს,
ვინც გაბედოს სიტყვა „მშია“
საპირო აზრს ვინ ამოჩხრეკს,
დასაბეჭდავ ნაწერშია.
სიტყვა ქრთამი გაკოტრდება,
რომ გიყვარდა შვილსავითს,
სხვა და სხვა ხალხთ სიყვარულსა,
მეზობლებს ვინ ჩაგონებს,
არ იცხოვრონ ძმასავითა,
ან, ვინ დასწვავს დაბა ქალაქს,
ვის აქვს გული ქვასავითა.
მთავრობაძის დიდსა ღვაწლსა,
ვერ ვინ გაიზიარებსა,
ვინ დახურავს სასწავლებლებს,
და სახალხო თეატრებსა,
გაფიცულ მუშებს ვინ დახვრეტს,
რომ ერთს ტყვია არ აცდესა,
აწ, ვინ შესძლებს იმ სიკეთეს,
რაც შეეძლო მის ბილწ ხელსა.
სიკვდილმა მთავრობაძისამ,
დიდათ დაგვწვა ყველას გული,
ის იმედი გვასულდგმულებს,
შვილი დარჩა მას ერთგული,
ხულიგან მთავრობაძის ძე
მამის სჯულზე განათლული,
მას მამისა სიცოცხლეში
აშინებდა გაზაფხული.
დანიშნულ დღეს მემკვიდრენი
შეკრებენიან კუბოსთანა,
მემკვიდრეობის აღდგენას,
ეცდებიან მამისგანა,
შემთხვევითა ვისარგებლო,
არ გაუშვათ ხელიდგანა,
და სამაგიერო მიუზღოთ,
რაც მის მამამ მოგვიტანა.

ალექსანდრე კვაპაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთობა“

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მ. სამი თვით 4 მან 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა №6.

ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკი

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 9 მ. —
6 თვით 5 მ. — კ.
3 თვით 2 მ. 50 კ.
1 თვით — 90 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ე შ მ ა კ ი, ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ Тифлисъ, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6 поч. ящ. № 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტიკი სასჯელი.

ულმობელი მამა. შენ კიდევ არ მოიშალე, შე საძაგელო, ხომ? მაშ კარგი, აი ახლა დაჯექი და იკითხე აი ეს წიგნი.

ბავშვი. ალარ ვიზამ... ალარ...

მამა. არა, არა, გეყო რაც გითმინე. დაჯექი...

რედაქტორი ეშმაკი. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ. № 1.